


„სალამურის ლეგენდა“

ომარ
გელაპტრიშვილი

1943-1992
Omar
Kelaptrishvili



„The legend of pipe“

მსოფლიოს გზებზე ამღერებული საღამურით

ომარ კელაპტრიშვილი – ქართული საღონიერი საკრავიერი მუსიკის კლასიკოსი, საღამურის ღეგენდა, უებრო მეფანდურე, მედუდუკე, ახალი ეპოქის შემქმნელი და დამმკიდრებული საღონიერი საკრავიერი მუსიკის ისტორიაში. ღვთისგან შებლზე ნაამბორევი ვირტუოზი, რომელიც სამი ათეული წელი აღა-ფრთოვანებდა მსმენელს სამშობლოსა თუ მის საზღვრებს გარეთ. ომარის საღამურში ერთს უკვდავი სული ხმიანებდა – თავისუფლების ამაყი სული, წმიდათა წმინდა და საკრა-ლური, პირველქმნილი და ხელუხლებელი, როგორიც მცხე-თელი ბიჭის საღამურმა გამოსცა ათასწლეულთა შემდეგ მის მიერ სულჩადგმულმა და ამღერებულმა. თავად აუდე-ლებლად ვერ ისხენებდა ამას: „ჩემი ბედისწერა ყოფილა საღამური – ძნელია, იმის გადმოცემა, თუ რა განცდა დამეუფლა, როდესაც 2500 წლის წინანდევლ, არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილ, მცხეთელი ბიჭის სამარხში ჩაყოლებულ საღამურს შევეხე და საუკუნეების შემდეგ ავახმიანე“.

სიხარული და სიამაყე გულმა
გეღარ დაიტია და ლექსად
გადმოიღვარა:

„დავალ გზებზე, ე, მაგ შენი
საღამურით...“.


ერთი შეტევდვთ, ომარ კელაპტრით-
შვილმა ცნოფრების ჩვეულებრივი
გზა განვლოთ: დაიბადა კასპის
რაიონის სოფელ კავთისხევში
1943 წლის პირველ იანვარს, მუსი-
კოს მიხეილ კელაპტრიშვილის
ოჯახში. საღამურზე დაკვრა
ბავშვობიდანვე უფროსმა ძმამ –
გერისომ – შეასწავლა. შემდეგ
სკოლა, სერგო ზაქარიაძის სანე-
ლობის კულტსაგანმანათლებლოთ
სასწავლებელი, სასოფლო-სამე-
ურნეო ინსტიტუტის აგრონომი-
ული ფაკულტეტი და თბილისის



განთ სარაჯიშვილის სახელობის
სახელმწიფო კონსერვატორია
ფლეიტის სპეციალობით. პარა-
ლელურად მუშაობდა ქაფთისხე-
ვის საშუალო სკოლაში ბედა-
გოგად, კასპის კელტურის სახლის
დირექტორად, საქართველოს
სახელმწიფო ფილარმონიის
ხალხურ საკრაფთა ორკესტრში
სოლისტად (ხელმძღვანელი
კირილე გამაკიძე).

საქართველომ თმაზ კელაბტრი-
შვილი 1964 წელს ინდიფიდუალურ
შემსრულებელთა კონკურსზე
გაცენო: ზაქარია ფალიაშვილის
ობერა „დაძირდან“ სალამურზე შემრეცებული საცეკვაო და პირველი
ჯილდო: ბირველი სარისხის დიპლომი და ოქროს მედალი.

1967 წელს შექმნა ხალხურ საკრაფთა ტრიად და-ქანდალაკებთან
კრიად და... ტურნე მსოფლიოს გარშემო. 1969 წლიდან, სახელმწიფო
აკადემიური ანსამბლის „რესონანს“ დაარსებიდან, გარდაცვალებამდე



ამ ანსამბლის სოლისტი და ერთ-ერთი ხელმძღვანელია. „რუსთავში“
მუმაობისას გამაღალა მისი უზადო ნიჭი და დაიხვეწა საშემსრულებლო
ხელოფება. ღვთიური ნიჭით დაჯილდოობული მუსიკოსი გამაოგნებელ
შთაბეჭდილებას ახდენდა მსმენელზე. დადმა პროფესიონალიზმა,
უზადო გემოფენებამ და სისადაცვემ შექმნა ომარ კელაპტრიიშვილის
განუმეორებელი ფენომენი.

ომარ კელაპტრიიშვილმა
ანსამბლ „რუსთავთან“ ერთად
ტრიუმფით მოიარა შოთავლის
უდიდესი საკონცერტო დარბა-
ზები: „გენადრური“, „ტრიუმფა-
ლური“, „ფანტასტიკური“, „ლუ-
გინდონული“ - მეტ შეფასებას
აძლევდა ევროპის, ამერიკის,
კანადისა თუ აბონის პრესა.
თუნდაც რამდენიმე ამონარიდი:
„უაღრესად გაწაფული
ფირტუოზი შემსურებლის ომარ
კელაპტრიიშვილის მიერ




მგზნებარე ქართულ ფლეიტა-სალამურზე ნაზი ტემბრითა და ულაშაზე სი ბგერებით შესრულებული მელოდიები ბერძნული ღმერთების საკრაფების ჟღვრადობას მოგვაგონებს. იგი უკრაგს ჩონგურსა და ფანდურთან ერთად, რომელთა ტემბრი ანდების ქვეყნების საკრაფთა ჟღვრადობას ჩამოჰგავს“ (ამერიკა);

„მუსიკოსის ხელოფნება ნიმუშია სულის შემძრელი შემოქმედებისა და უზადო ტექნიკისა, რომელიც შეიცავს ოვითმყოფად ერთგულ მუსიკას“ (ქანადა);

„ტრიუმფალურია საკრაფიერი ტრიო, განუმეორებელია ერთგული საკრაფი სალამური, მასზე შემსრულებელი ნამდვილი ვირტუოზი“ (საფრანგეთი);

„მცირე მსოფლიო შეიკრიბა სან-მარკოს მოედანზე, ყვირობნები იტალიელები, ფრანგები, ესპანელები, ომარ კელაპტრიშვილის სცენიდან არ უშევებდნენ. ვინტუოზი მუსიკოსს, დათვერი სალამური“ (ოტალია).

ომარ კელაპტრიშვილი 1970-1990 წლებში მრავალჯერ გახდა საქონიაშორისო ფესტივალების ლაურეატი (საფრანგეთი, გერმანია). 1975 წელს გორონეულში, აღაბიეგის „ბულბულის“ ფორტეპიანოს თანხლებით შესრულებისათვის, ლაურეატის ოქროს მედლით დაჯილდოვდა.






საფრანგეთში უდიდეს საკონცერტო დარბაზში – „ოლიმპიაში“
- გასტროლების დროს ქართველმა ემიგრანტმა, იმპრესორით იღია ჯაბადარიშვილი, ასე წარწერა „რუსთაფის“ პროგრამას:
„გიხართდეს, ჩემთ თმარ, აღფრთოვანებაში მოიყვანე უამრავი მსმენელი საუცხოო შესრულებით საღამურზე. ბეგრი განთქმული მუსიკოსის კონცერტები მომისმენია, მოწონება დიდი ჰქონდათ, მაგრამ ოვაციები, როგორიც შენ მიღებ, არც კრის. თვით როსტრამოვის არ მოუპოვებია შენისთანავამარჯვება, ყოჩად ჩემთ, შენინიჭი მარგალიტებით მოქმედია ქართველი კულტურის ბრობაგანდას“. იღია ჯაბადარი, 1979 წელი, საფრანგეთი.

ომარ კელაპტრი შვილმა 1980 წელს შექმნა მედუდუკეთა
გებარტეტი, 1981 წელს კა სათავეში ჩაუდგა საქართველოს ტელევიზიის
ხალხურ საკრაფთა პროფესიულ ორკესტრი. 1983 წელს ორკესტრის
დაუმატა ქალთა ფოკალი და ასე შეიქმნა ანსამბლი „იაგნანა“,
რომელიც იმთავითვე აღიარა მსმენელმაც და მუსიკალურმა სამყა-
რომაც. მალე ანსამბლი „იმპნელების ბრუნი“ დაურეატი და დარ-
სების ორდენოსანიც გახდა. რეჟისორმა ზაალ გაკაბაძემ
გადაიღო სრულმეტრაჟიანი სატელევიზიო ფილმი. ანსამბლმა
ჩაწერა გიგანტი ფირფიტა, აუდიო და ვიდეოდისკები. დღეს
„იაგნანა“ თავისი დამაარსებლის უკვდაფსაყოფად „კელაპტრის“
სახელს ატარებს.

ომარი თითქოს წინასწარ გრძნობდა, რომ წუთისოფელში ყო-
ფნის დრო შეზღუდული პენდა, ამიტომაც ჩქარობდა, ეშურე-
ბოდა... იგი არასოდეს ყოფილა თდენ შემსრულებელი, თდენ
საკონცერტო გამოსვლებით შემოფარგლული. თავის ნიჭხა და
უზადო ხელოფნებას გადასცემდა ბავშვებს, მომავალ თაობას.
ფოლკლორის სასახლეში პირველმა დააარსა შვიდწლიანი
სკოლა-ხტუდია, მუშაობდა თბილისის სამუსიკო და საეხტრადო
სასწავლებლებში, იკვლევდა ქართულ ხალხურ საკრაფიერ
მუსიკას, იწერდა სიმღერებს, შიფრავდა და ნოტებზე გადაპენდა.



ასე იქმნებოდა მისი საინტერესო გამოკვლევები ქართული ხალხური საკრავების შესახებ.

ომარ კელაპტრიშვილი სამშობლოში სიცოცხლეშივე დაფასებული და აღიარებული იყო. 1989 წელს მიენიჭა უმაღლესი ჯილდო — საქართველოს სახალხო არტისტის წოდება — ხალხის უდიდესი სიუფარულისა და პატივისცემის დადასტურება.

განდაიცვალა 1992 წლის 16 აგვისტოს, მწვავე ლეიკოზით,
49 წლისა. დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზო-
გადო მოღვაწეთა პანთეონში. ამ დიდმა კაცმა საქართვე-
ლოს დაუტოვა თავისი იგავმიუწვდომელი შემოქმედება
და ნაღვაწი, მომავლის ქართველებს – ლეგენდა ომარ
კელაბტრიშვილზე და ანდერძი, ისეთი, როგორიც მან
აღუხულა სამარეში საღამურჩატანებულ მცხეთელ
ბიჭს: დაგალ გზებზე, ე, მაგ შენი საღამურით...

ანზორ ერქომაიშვილი



სალამურს ენა ჩავუდგი
ბულბულის ყელის დარადა,
სული ჩავბერე, ამღერდა
ქართველთა გასახარადა,
ღმერთო, ეს ჰანგი მიკურთხე,
აცოცხლე აწ და მარადა.

ომარ კელაპტრიშვილი

დისტე მუშაობდნენ:

ნათედა კელაპტრიშვილი
უჩა ბატარიძე

ბაია ასიეშვილი
თემ ქახაბური

დიზაინერი: ნიკოლოზ გოგაშვილი

ხმის რეფისთრია: არჩილ ბურჭულაძე

ომარ კელაპტრიშვილის ინსტრუმენტულ კომპოზიციებს ასრულებს
საქტელერადიოკორპორაციასთან არსებული წალხურ საკრაფთა ორკესტრი

ცალკეულ ნომერებში უკრავენ ინსტრუმენტალისტები:

ნუტრი კელაპტრიშვილი
რაიმულ ედიშერაშვილი
თემიშვილაშ ქარსაულიძე

თაშაზ მამალაძე
დავით ქაფთარაძე

გაწეული დაწმარებისათვის განსაკუთრებულ მაღლიმას კუნძით
საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრს

3:03	მოიღლ ქლოთა საცეკვაო	1	Women's Mountain Dance	3:03
3:55	ბულბული (ა. ალიაბევი)	2	Bulbuli (A. Aliabiev)	3:55
1:36	ტაშ-ფანდურა (რ. ლაგიძე)	3	Tash-pandura (R. Laghidze)	1:36
3:35	დილის სარი (დუდუკები)	4	Dilis Saari (Duduki)	3:35
1:36	ქავთისხეური საცეკვაო (მ. მერაბიშვილი)	5	Kavtiskheuri. Dans tune (M. Merabishvili)	1:36
3:09	თუშური მელოდიები	6	Melodies from Tusheti	3:09
2:16	სატრფიალო	7	Satrphialo	2:16
2:36	სამშობლო (ა. ყარაშვილი)	8	Samshoblo (A. Karashvili)	2:36
3:14	იავნანა (დუდუკები)	9	Iavnana (Duduki)	3:14
1:57	ქართული ხალხური სიმღერების პოპული	10	Mix of Georgian folk songs	1:57
3:09	მთის მელოდიები	11	Mountain Melodies	3:09
2:21	ხაჭიდაო (ს. ცინცაძე)	12	Sachidao (S. Tsintsadze)	2:21
1:58	ანტრაქტი ოპერიდან „ქარმენი“	13	Antrakt from Opera "Karmen"	1:58
4:16	იჯაზი (დუდუკები)	14	Ijazi (Duduki)	4:16
2:15	სახუმარო (ჯ. ადამაშვილი)	15	Sakhumaro (J. Adamashvili)	2:15
2:10	ტოროლა (ჯ. ენესკუ)	16	Torola (J. Enesku)	2:10
3:09	მწყემსური	17	Mtskemtsuri	3:09
2:20	თურქული გარში (ვ. ა. მოცარტი)	18	Turkish march (W. A. Mozart)	2:20
3:08	შენ ხარ ვენახი (დუდუკები)	19	Shen Khar Venakhi (Duduki)	3:08
1:45	საცეკვაო ოპერიდან „ქეთო და კოტე“	20	Dance from the opera "Keto and Kote"	1:45
4:53	ოსური მელოდიები	21	Melodies from Osseti	4:53
3:25	აღმოსავლური მელოდია	22	Eastern Melody	3:25
2:36	ხორუმი	23	Khorumi	2:36
2:26	დაჭრილის სიმღერა (დუდუკები)	24	Dachrillis Simghera (Duduki)	2:26
1:56	საცეკვაო ოპერიდან „დაისი“	25	Dance from the opera "Daisi"	1:56
2:48	კავკასიური მელოდიების პოპული	26	Mix of Caucasian Melodies	2:48
3:59	რასტი (დუდუკები)	27	Rasti (Duduki)	3:59
1:33	ძველი ქართული საცეკვაო	28	Old Georgian Dance	1:33